წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. პარასკევი, 12 ივნისი 1915 წ. № 17

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76,

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე), და ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ წლის დამლევამდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ამნაირად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. ჟურნალ „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა (5 მან.) „საქართველო“ გაეგზავნებათ **მხოლოდ** პირველ მკათათვემდე. „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სამს მანეთამდის აქვს შემოტანილი, „საქართველოს“ მხოლოდ პირველი ნომერი გაეგზავნებათ.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

თბილისის სახაზინო თეატრი

შაბათს 13 ივნისს

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით თვის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად გაიმართება

სამხატვრო-სამუსიკო საღამო

I.

პ ი რ ი - მ ზ ე

(ბრძოლა კეთილ და ბოროტ სულთა შორის) ზღაპარი-პოემა ერთს მოქ. კ. ფოცხვერაშვილისა. გალექსილი შ. დადიანის მიერ. დასდგამს ალ. წუწუნავა.

II.

აბესალომ და ეთერი

ქართ. ორიგინალური ოპერა ზ. პ. ფალიაშვილისა, პირველი სურათი, ავტორის ლოტბარობით. რეჟისორი ალ. წუწუნავა.

III.

საკონცერტო განყოფილება

1. ბოროდინი. Въ средней Азіи. სიმფონიური პოემა, შეასრ. სიმფონ. ორკესტრი ზ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

ევა ბრიუნელის ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნება:

2. გრიგი PEER GYNT. ა) Утро, ბ) Смерть Азы, გ) Танецъ Анитры, დ) Въ чертогахъ царя горъ. 3. სვენდსენი. Зарохайда. 4. სიბელიუსი. Вальсъ печали. 5. როჟე-დიუკასი. Сигнальные рожки.

ზ. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნება:

6. რიმსკი-კორსაკოვი—აღმოსავლეთის რომანსი. 7. ზ. პ. ფალიაშვილი—ნანა-შვილო. 8. მისივე—კვარტეტი და არია ოპერა „აბესალომ და ეთერიდგან“ შეასრულებენ: ქ-ნი მ. კოლოტოვისა და პრესინსკაია; ბბ. გურჯი და პეტროსიანი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ევა ბრიუნელი, მ. კოლოტოვისა, პრესინსკაია, ბბ-ნი ზ. პ. ფალიაშვილი, ი. პ. სარაჯიშვილი, ი, ტომაშევიჩი, გურჯი, ინაშვილი, პეტროსიანი, ქართველ მსახიობთა და სცენის მოყვარეთა ჯგუფი, ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების ხორო და გაძლიერებული სიმფონიური ორკესტრი „ახალი კლუბისა“

დასაწყისი სწორედ 8 ნახევარ საათზე

საღამოს დიასახლისნი: გეოგარ ხანუმ პრინცესსა კაჯარი და კნ. ელისაბედ ერეკლეს ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება **„ძმური ნუგეშ“-ის** საჩაიეში, გოლოვინის პროსპ, № 16, ხოლო წარმოდგენის დღეს სახაზ. თეატრის კასაში. 3—2

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღ. 5—6 საათამდე, კვირა დღის გარდა. ოლღას ქუჩა, სახლი მელიქ-აზარიანცისა

კბილის ექიმი ქალი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ქ. გ ო რ შ ი

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

თბილისი, 12 ივნისი.

ახალი პროექტი.

შავი ზღვის ნაპირებისაკენ, გონიის საბოქაულოში მიწათმოქმედებისა სახელმწიფო ქონებათა ადგილობრივი მართველობა მიწის მზომელებსა ჰგზავნის. როგორც ნამდვილ წყაროებიდან გავიგეთ, საქართველოს ამ დაცარიელებულ კუთხეს, მთავრობა უპირობს დაჭრა-დანაწილებას და დარიგებას. ეს პროექტი კარგა ხანია შედგენილი იყო სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტის მიერ, მაგრამ იგი ჯერ საიდუმლოდ ინახებოდა, რადგან ელოდებოდნენ შესაფერ დროს. ეხლა ბიუროკრატიულმა წრეებმა გადასწყვიტეს, რომ მომენტი სახეიროა და მიმალული პროექტიც გამოაჩინეს. თოფ-ზარბაზნის გრიალით დაშინებული აჭარლები გაიქც-გამოიქცნენ, დროებით მიატოვეს თავისი ნაოფლარი მამულ-დედული, თავის მშვენიერი ფართო ჭალები... აი საუცხოვო მომენტი პროექტის ასრულებისა, იფიქრა დეპარტამენტმა და შეუდგა საქმეს. არცა სწუხს იმაზედ, რომ დროებით გაფანტული ხალხი დაუბრუნდება თავის კერას და სრულის უფლებით მოითხოვს იმას, რაც მას კანონით ეკუთვნის. მაგრამ სამიწათმოქმედების მართველობას პასუხი მზად აქვს: რადგანაც მცხოვრებლები გაიქცნენ და მიატოვეს თავის ადგილებიო, მაშასადამე, „მოღალატეები“ არიანო, მოღალატეებს კი მიწას არ დავუბრუნებთო. როგორც ხედავთ, პროექტს ძალიან „სერიოზული მოტივები“ მოსდევს, და შეიძლება, შეუფერხებლად განხორციელდეს. პროექტს ერთი დაბრკოლება თუ გადაეღობება: ძირითადი კანონი და სახელმწიფო სამართალი: ადმინისტრატიულ წესით დარბეულ ხალხის „მოღალატედ“ გამოცხადება და ამავე წესით მიწის ჩამორთმევა ყოვლად უკანონოა და უსამართლო. მაშინ ასევე უნდა მოექცნენ პოლონელების მამულებს, ლიტველებს და საზოგადოდ, იქ, სადაც მრავალი ხალხია დარბეული და შიშისაგან აქეთ-იქით გაქცეულა და მიმალულა. ხალხის უფლების შელახვა იმისდა მიხედვით, რომ შავი ზღვის ნაპირები მეტად მოსაწონია ბიუროკრატიისათვის, ძალიან მსუბუქი საბუთია. ამიტომ საბრალო ქართველ მაჰმადიანების „მოღალატედ“ გამოცხადებაც არასაკადრისი საქციელია, ადმინისტრატიული წესი აგრარულ საკითხში ცუდი და სახიფათო იარაღია. და როდესაც განათლებული მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი ამ იარაღსა ხმარობს, სჩანს მას კანონიერი საბუთები გამოელია.

ასეთს გამწვავებულ დროს ასეთი უსამართლო მოქმედება დეპარტამენტისა საქართველოს მიწის მფლობელობის საკითხში, როდესაც მრავალი ქართველი სამშობლოს გარედ თავსა სდებს რუსეთის საკეთილდღეოდ, რა თქმა უნდა, მეტად მნიშვნელოვან და სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ომის დღიური

მიმოხილვა

დღევანდელმა დეპეშამ ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა მოიტანა. როგორც მოსალოდნელი იყო, რუსის ჯარის მთავარსარდალმა არ მოინდომა გალიციის დედა-ქალაქის—ლვოვის მიდამოებში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩარეულიყო და ეს ქალაქი მოპირდაპირეს დაუთმო. საერთო სურათი ლვოვის აღებისა ასეთი ყოფილა: ლვოვიდან დასავლეთით, 25 ვერსზე მდებარე გოროდოკის ტბების დაშრობის შემდეგ ძალიან გაძნელდა გალიციის დედა-ქალაქის დაცვა, მაგრამ რუსის ჯარს, ეტყობა, არც ისე ადვილად დაუნებებია ეს ქალაქი. ავსტრო-გერმანელთა ჯარი რამდენიმე გზით მოსდგომია ლვოვს დასავლეთიდან. აქ, სოფ. ბრეუხოვიცედან მოყოლებული სამხრეთით, მდინარე შჩერემდე ცხარე ბრძოლა ყოფილა, მაგრამ მოპირდაპირეს ისევ თვისი ნაცადი ხერხი უხმარია: მას რუსის ჯარის მარჯვენა წვერისთვის მოუვლია, გასულა ჟოლკევში და ამით ლვოვის ბედი გადაუწყვეტია. ქალაქი ჟოლკევი მდებარეობს ლვოვის ჩრდილოეთით, 25 ვერსის მანძილზე, „რუსკა რავასა“ და ლვოვის შუა. ამ ქალაქის აღებას კიდევ იმ მხრივ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ მასზე გადის რავა-რუსკა-ლვოვის რკინის გზა, რომელიც ეხლა გაწყვეტილია. რუსის ჯარს უკან დასახევად გალიციაში ბევრი რკინის გზა აქვს. მაგრამ საზღვრებთან ეს გზები ერთმანეთს უერთდებიან და რჩება მხოლოდ ორი გზა: ერთი მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბროდი-როვნოზე, მეორე-აღმოსავლეთით ტარნოპოლ-პროსკუროვზე. უეჭველია ავსტრო-გერმანელთა ჯარიც ამ გზებს უნდა გამოჰყვეს, მაგრამ საით წაიყვანენ ისინი თავიანთ ჯარის უმთავრეს ნაწილს, ამის გამოცნობა ძნელია.

გუშინდელ და დღევანდელ დეპეშებიდან სჩანს, რომ ავსტრო-გერმანელები მაინც და მაინც არ აწვებიან ლიუბლინ-ხოლმის გუბერნიებს, რადგან ამ ხაზზე რავა-რუსკადან მოყოლებული სანის შესართავამდე, 120 ვერსის მანძილზე დიდი ჯარის მოძრაობა ძალიან გაუჭირდება, რადგან ეს ადგილი ჭაობიანია და ხშირი ტყით არის მოცული. სამაგიეროდ დიდი მნიშვნელობა ეძლევა რავა-რუსკას, სადაც ოთხი რკინის გზა იყრის თავს და რომელსაც რუსის ჯარი, ეტყობა, მედგრად იცავს.

აქედან მოყოლებული აღმოსავლეთით ადგილი უფრო გაშლილია და დიდ ჯარს ადვილად შეუძლიან გაშლა-მოძრაობა. ლვოვმა დიდი ჯარი მიიზიდა გერმანელებისა, ეხლა კი, მისი აღების შემდეგ, შეიძლება გერმანელებმა რავა-რუსკას მიმართულებას მიაქციონ უმთავრესი ყურადღება და სცადონ ჩრდილოეთით წაწევა, რათა მოვლის მუქარით გადასწყვიტოს ვისლის გაღმა ნაპირის ბედი.

გუშინწინ ვსთქვით და ერთხელ კიდევ გავიმეორებთ, რომ ლვოვის აღების პოლიტიკურ-მორალური მნიშვნელობა გაცილებით სჭარბობს მის სტრატეგიულ მნიშვნელობას, ამიტომ ეს ამბავი საზოგადოდ ხალხზე და კერძოდ ბალკანეთის სახელმწიფოებზე უფრო მეტს გავლენას მოახდენს, ვიდრე გაუთავებელ ომზე.

მ. ბ—ლი.

დეპეშები

თბილისი. 10 ივნისი. მთავარი შტაბის ოფიციალური ცნობა. 8 ივნისს კავკასიის სალშქრო პირზე შესამჩნევი ბრძოლა არ მომხდარა. ზღვის მიმართულებით ჩვეულებრივი სროლაა.

პეტროგრადი. 10 ივნისი. მათმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილინება 10 ივნისს ცარსკოე სელოდან მომქმედ ლაშქარში წასულიყო. ხელს აწერს იმპერატორის სახლის მინისტრი გენერალ ადიუტანტი გრაფი ფრედერიკს.

პეტროგრადი, 10 ივნისი. მთავარი შტაბის ოფიციალური ცნობა. შავლის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. რაიოგოროდცკის ტბების სამხრეთით ჩვენი ჯარები 9 ივნისს გადავიდნენ მდინარე ეგრაჟნუ და სოფ. კულიგი დაიჭირეს. გადასვლისთანავე მთელი როტა გერმანელებისა მოსპეს. ლომჟინსკის მიმართულებით ძლიერი საარტილერიო ცეცხლია. ტანევზე ს. ლიუც-ლიპეცთან გერმანელთა გააფთრებული იერიშები მოგერიებულ იქმნა. რავა-რუსკიდან მტერი ვსდევნეთ დი რამდენიმე სოფელი დავატოვებინეთ. სოფელ გუტაზედენთან ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ერთიანად ასჩეხა მტრის 3 როტა. 8 ივნისს და შემდეგ დღის ღამეს ლვოვის მიმართულებით ჩვენ შევაჩერეთ მტრის სასტიკი იერიში: ბრეუხოვიცთან და მდ. შჩერის სამხრეთით მტერს დიდი ზარალი მოუვიდა იერიშების დროს, მიუხედავად ამისა, მან მოახერხა ქალ. ჟოლკევის რაიონში ჩაეწია, რის გამო 9 ივნისს ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს ლვოვი და ნელ-ნელ ახალ პოზიციებზე გადავიდნენ. დნესტრზე კოსმერჟინის სამხრეთით, მდინარეს მარცხენა ნაპირზე მტერი კვლავ მტკიცედ სდგას და ბრძოლას განაგრძობს. დნესტრის შესახვევში ს. უნიშელთან მტერი ერთი სოფლიდან მეორემდე გადავრეკეთ. ხიშტით ბრძოლის დროს ათასზე მეტი ტყვე წამოვიყვანეთ.

პარიზი, 9 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. დილით მტერმა ხუთმეტი ყუმბარა ჩამოაგდო. ჩვენმა მძიმე ბატარეიამ სროლა აუტეხა მტრის არტილერიას. არასის ჩრდილოეთით დილას შესწყდა გერმანელების კონტრ-იერიშები, მხოლოდ სუშესა და ეკიურის შორის ცხარე საარტილერიო ბრძოლა ხდებოდა. მტერმა ნაღმები ააფეთქა თუმც უშედეგოდ შამპანში, პერტას მახლობლად. მაასის მარჯვენა ნაპირზედ, კოლონთან, მტერმა ღამით ძლიერი იერიში მოიტანა იმ განზრახვით, რომ დაებრუნებია დაკარგული პოზიციები. დაიჭირეს მხოლოდ ერთი ნაწილი მეორე რიგის სანგრებისა, მაგრამ მყისვე უკან დავიბრუნეთ მიტანილი კონტრ-იერიშით. ამ ადგილებში სულ 200-მდე კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ, რომელთა შორის სამი აფიცერია. გერმანელების სუსტი იერიში, მარშილის მახლობლად, უკუვაგდეთ. ვოგეზებში წინ მივიწევით. უკუვაგდეთ მტრის კონტრ-იერიში ლორენში, ლენტრეს აღმოსავლეთით.

რომი. 9 ივნისი. ბრძოლის ადგილას მტერი მხოლოდ საარტილერიო ცეცხლით დაკმაყოფილდა. მონტენეროს რაიონში ჩვენი ალპიელი ბატალიონები პირველად შეეჯახნენ მტრის ძლიერ რაზმებს, რომელნიც, ეტყობათ, გალიციიდან გადმოუყვანიათ აქ. მტერი დამარცხდა. მრავალი წამოვიყვანეთ ტყვედ. პლავის მახლობლად ჩვენს პოზიციებზე ქვეითა ჯარები შეეჯახნენ ერთმანეთს. მტერი ხელსასროლ ყუმბარებსაც ჰხმარობდა. მაგრამ ყველა იერიში მოგერიებულ იქნა. იზონცოსთან წინა დღეებში აღებული პოზიციები გავამაგრეთ. მახლობელ რაიონებში, სადაც მტერმა მდინარეები გამოუშვა ჩვენი პოზიციების წასალეკად, მართალია, თანდათანობით კლებულობს წყალი, მაგრამ ჩვენს ჯართა უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენს მოძრაობის დროს.

ლონდონი, 9 ივნისი. დარდანელში მოქმედ არმიის მთავარი სადღეღე და ღამის განმავლობაში შეუწყვეტელი ომის შემდეგ რამდენიმე გამარჯვებას მივახწიეთ. გუშინ დილით გენერალმა გერომ იერიში მიიტანა კერევესლერუს სიმაგრეზე. ნაშუადღევზე ფრანგთა მეორე დივიზიამ იერიშით აიღო ოსმალთა მეორე ხაზის ყველა სანგრები. მარჯვენა პირზე ფრანგთა პირველმა დივიზიამ ხანგრძლივი სისხლის ღვრის შემდეგ დაიკავა ოსმალთა თხრილები. მაგრამ ოსმალებმა ისეთი სასტიკი კონტრიერიში მოიტანეს, რომ ფრანგები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ დაკარგული ადგილები. მეორე იერიშზე ამ დივიზიამ კვლავ აიღო ხსენებული თხრილები, მაგრამ კვლავ სწრაფადვე დაატოვებინეს ოსმალებმა. მაშინ ინგლისელთა ზარბაზნებმა განაახლეს ყუმბარების დაშენა და ფრანგთა არტილერიასთან ერთად საღამოს 6 საათზე როგორც იყო რამდენიმე სანგრების აღება მოვახერხეთ. მიუხედავად ღამის სასტიკი კონტრ იერიშებისა, ყველა დაჭერილი პოზიციები შევინარჩუნეთ. ოსმალთ დიდი ზარალი მოუვიდა. ერთი ბატალიონი, რომელიც ოსმალთა დასახმარებლად მოდიოდა, შემჩნეულ იქმნა დროზე და სულ ერთიანად ამოვხოცეთ, ასე რომ გაქცევა ვერც კი მოახერხეს. ყველანი აღფრთოვანებაში მოდიან ფრანგთა 20 წლის ჯარისკაცების თავგანწირულებით. ჯარს დახმარებას უწევდა ფრანგთა ჯავშნოსანი „სენლუი“.

კიევი, 10 ივნისი. რავა-რუსკიდან წამოყვანილ ტყვეებში არიან არასიდან გადმოყვანილი გერმანელები. გალიციიდან 200 საფოსტო მტრედი მოიყვანეს, რომელნიც ვენაში ომის ამბებს ატყობინებდნენ.

ლონდონი, 10 ივნისი. თემთა პალატა. დაამთავრეს კანონის კითხვა გაზიდვის შემცირების შესახებ. ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელმა პრიტიმენმა განაცხადა: ამ კანონს თან მოყვება ამ კვირის ბოლოს მთავრობის განკარგულება, რომ აკრძალულ იქმნას ჰოლანდიაში ყოველგვარი საქონლის გაზიდვა, გარდა იმ საქონლისა, რომელიც დანიშნულია ჰოლანდიის საოკეანო ტრესტისთვის, რადგანაც ამ უკანასკნელმა მიიღო პასუხისმგებლობა რომ არც ნედლი და არც გადამუშავებული მასალა ჩვენს მტერს ხელში არ ჩაუვარდებაო. კანონი არ კარგავს თვის ძალას სხვა ნეიტრალ სახელმწიფოთა შესახებ.

ლონდონი, 10 ივნისი. პრესის ბიურო იუწყება: დარდანელის ჯარის მთავარ სარდლის მოხსენების ცნობით, 6 ივნისს საღამოს ოსმალებმა გამოისროლეს ჩვენი მარცხენა წვერის წინააღმდეგ 450 თვითამფეთქი ყუმბარა. ახალ იერიშით ოსმალებმა დაიპყრეს ერთი წინ წაწეული პოზიცია, რომელიც კვლავ დავიბრუნეთ. ოსმალებს ათასამდე კაცი დაეხოცათო.

პარიზი, 9 ივნისი. დღის ოფიციალური ცნობა. გასულ ღამეს დიუნკერკს დაუშინეს შორს გამტანი ზარბაზნები; ქალაქში ხუთმეტამდე ყუმბარა ჩამოვარდა. რამდენიმე მშვიდობიანი მცხოვრები მოკლულ იქმნა. ბელგიის ჯარმა დაიპყრო სენ-ჟორჟის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სანგრები, რომელთა დამცველები, ვინ მოკლეს და ვინ ტყვედ წამოიყვანეს. არასის ჩრდილო ფარგალში, ღამით, ძლიერი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, მტერმა რამოდენიმე ადგილას იერიში მოიტანა, მაგრამ ყოველგან უკუვაქციეთ, გარდა ერთი ადგილისა, რომელიც სუშეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, და სადაც მტერმა ფეხი მოიმაგრა. ლაბირინტის რაიონში მტერს

დიდი ზარალი მოუვიდა. კენვიერის აღმოსავლეთით გამართულ ჩვენს პოზიციებზედ გერმანელებმა კონტრ-იერიშები მოიტანეს, მაგრამ თოფის და არტილერიის ცეცხლის წყალობით ყველა კონტრ-იერიში შევაჩერეთ. მტერი ხმარობდა სულშემხუთ გაზიან ყუმბარებს. არგონებში ბინერვილისა და ვიენ-ლე-შატოს მახლობლად ცვლილება არ მომხდარა. ლორენში ახალ-ახალი იერიშების წყალობით, 300 მეტრით ჩრდილოეთისკენ წავიწიეთ. რეინის აღმოსავლეთით მაღლობზედ ჩვენ ერთი მწვერვალი დავიჭირეთ რემაგუას სამხრეთით და ადვილად მოვიგერიეთ კონტრ-იერიშები, რომლებიც ლენტრედან და პარუას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოიტანეს. თანაც ტყვეები ჩავიგდეთ ხელში. მეტცერალის ჩრდილო და სამხრეთიდანაც წინ წავიწიეთ. წინ წავიწიეთ აგრეთვე ანალსვაზენის იქითაც. ტყვეები წამოვიყვანეთ. სამი ტყვიისმფრქვეველი ხელთ ვიგდეთ.

მოსკოვი, 10 ივნისი. მოსკოვის მთავარმართებელმა შემდეგის მოწოდებით მიმართა მოსკოვის მცხოვრებთ: „რუსის ხალხის მახსოვრობიდან ჯერ კიდევ არ ამოშლილა პაგრომის სამარცხვინო დღენი, რომელიც ძველ სატახტო ქალაქში მოხდა. მომხდარ არეულობამ ჩვენი მოწინაალმდეგეები გაამხნევა, რომელთა წინაალმდეგ რუსის დიდებული მხედრობა თავის საკუთარ სიცოცხლით და სისხლით იცავს ძვირფას სამშობლოს. მე ავასრულებ ჩემს მოვალეობას ხელმწიფე იმპერატორის და რუსეთის წინაშე და ხელმეორედ ვაფრთხილებ ყველას, რომ ნებას არ მივცემ რაიმე ძალმომრეობა იხმარონ სატახტო ქალაქის მცხოვრებლებზე და მათ საკუთრებაზე. ამისთვის ვსთხოვ ქალაქის მცხოვრებთ დამშვიდდნენ და ხელი შეუწყონ მთავრობას საზოგადო სიმშვიდის დასამყარებლად. გაბოროტება ცუდი მრჩეველია. მან ვინც 28-ს და 29 მაისს პაგრომში მონაწილეობას ღებულობდა, დიდი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ინტერესებს, რადგანაც მათ მიერ განადგურებული სიმდიდრე ჩვენ მხნე მეომარი და ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ მოხმარდებოდა. მოსკოვის ხალხის ამაღელვებელი საკითხი გერმანელთა ძალდატანობისა მალე კანონი გამორკვეული იქნება და ეს კანონი სისრულეში შედის პირველ ივნისიდან, რომლის ძალით ყოველგვარი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება, რომელიც ჩვენ მოწინაალმდეგე სახელმწიფოს ქვეშევრდომს ეკუთვნის, ამიერიდან დაიხურება და გერმანელები განდევნილი იქმნებიან ფაბრიკა-ქარხნებიდან. განსაკუთრებით მივმართავ მოსკოვის ქარხნებში და ფაბრიკებში მომუშავე მუშებს, რომლებთან მე ამ ბოლოს დროს მქონდა მოლაპარაკება და პატრიოტული გრძნობა მოითხოვს შეუწყვეტელ მუშაობას ძვირფას რუსის ჯარისთვის. მათ კარგათ აქვთ გათვალისწინებული, რომ ნაყოფიერი მუშაობა ფაბრიკა ქარხნებში რუსის გამარჯვებისთვის ისეთივე საჭიროა, როგორც ხიშტი და ტყვია ბრძოლის ველზე. თუ თქვენ არ ჩაიცვით, არ დახურეთ და შეაიარაღეთ ჯარი, ამით შეასუსტებთ მის ძალას და ხელს შეუწყობთ ჩვენ მტერს. რაც უნდა მძიმე და აუტანელი იყოს თქვენი მდგომარეობა ფაბრიკა-ქარხნებში, ყოველ შემთხვევაში ეს მდგომარეობა გაცილებით უკეთესია ვიდრე ჩვენი ჯარის კაცების მდგომარეობა. ჩვენ სუყველა ძმები ვართ, სუყველას ერთი მისწრაფება გვაქვს,—ხელი შეუწყოთ რუსეთის გამარჯვებას და გადიდებას. ამისთვის ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ გვესაჭიროება მუშა ხელის გამრავლება და არა შემცირება. გჯეროდეთ რომ ხალხის სიძლიერეს უფალი მიანიჭებს გამარჯვებას სიმართლისთვის. სასოწარკვეთილობას ნუ მიეცემით დროებითი დამარცხებით, პირიქით უნდა გავაორკეცოთ სიძლიერე სულისა. რუსეთის მხედრობა გაიორკეცებს თავის მამაცს და უმაგალითო გამძლეობას, რომელიც მუდმივ თვისებას შეადგენდა ჩვენის ჯარისას.

გენერალ ადიუტანტი **თავ. იუსუპოვი.**

რომი, 9 ივნისი. როდესაც ავსტრიელები იხევენ, გზა და გზა თავიანთ ვერაგობას არ იშლიან: ხეებზე მოწოდებას აკრავენ იზონცოს მეორე ნაპირას, მონფალკონეს ახლოს დამახინჯებულ იტალიურ ენაზე, რომ იტალიის ჯარი დაიშალოს. ეს მოწოდება იტალიის ჯარში არმიის ზიზღსა და შებრალებას იწვევს, როცა ავსტრიელები ასეთს ხრიკს მიმართავენ. მეორე შემთხვევა, რომელიც მოწინაალმდეგის დამახასიათებელია, მოხდა 5 ივნისს. 3 ექიმი თხრილიდან გამოვიდა, თან სამი სანიტარი ახლდა, მაგრამ მოწინაალმდეგეთა რაზმმა შეიპყრო. პარლამენტიორი (შუამავალი) წავიდა მოსალაპარაკებლად, სანიტარები რად იქმნენ დაჭერილნი, მაგრამ თვითონაც აღარ დაბრუნებულა. ხოლო იტალიელების თხრილებთან მოვიდა ერთი ჯარისკაცი, რომელმაც თან ბარათი მოიტანა გერმანულ ენაზე, რომ პარლამენტიორი ნიშანს აძლევდა იტალიელებსაო. 7 ივნისს შეპყრობილთაგანი არც ერთი არ დაბრუნებულა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანელი მოსწავლე ახალგაზდობა

ბერლინისა და სხვა ქალაქების მოსწავლე ახალგაზდობა ბრძოლაში. სტუდენტობის 80 პროც. კარგა ხანია გაიწვიეს და ბრძოლაში გაგზავნეს. მასწავლებელთა და პროფესორთაგან გაწვეულია 40 პროც.

—

დაიკეტა ახალი ჟურნალი „ნაციონალური პრობლემები“. ამ ჟურნალის მხოლოდ პირველი ნომერი გამოვიდა.

—

კრუპის ქარხანაში ამ ჟამად 42 სანტიმეტრიან ზარბაზნებზე მეტ კალიბრიანს ამზადებენო.

„რეჩი“ სწერს: ლვოვის პოზიციამ ნორმალურ ტიპის პოზიციის სახე მიიღო, რომელსაც სერიოზული მნიშვნელობა აღარა აქვს. ასეთს პოზიციებს ხანგრძლივი თავდაცვის ძალა აღარ შესწევთ. ლვოვის ევაკუაცია და დაწესებულებათა გადატანა სრული წესრიგით დამთავრდა. მიუხედავად ამისა, რომ ლვოვი დაიჭირონ, გერმანელთ დიდძალი მსხვერპლი დასჭირდებათ. სამხედრო ავტორიტეტები ჰფიქრობენ, ლვოვის ბედის მიუხედავად გალიციის ოპერაცია თავის მნიშვნელობას არ ჰკარგავს და ხანგრძლივიც იქნება იგი.

ვისი ბრალია?

ფრიად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დღევანდელ უმაგალითო ომის დროს, როდესაც სწყდება ერთა და სახელმწიფოთა ბედი, ქართველი ხალხიც სცდილობს აღნუსხოს თვისი დღევანდელი მდგომარეობა, სცდილობს გამოარკვიოს ის მიმართულება, რომელიც საუკეთესო ყალიბში ჩააყენებს ჩვენში ეროვნულ საკითხს. თავის თავად ცხადია, რომ პრესსაში განხილვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკითხის ფაქტიურად გადაწყვეტას, მაგრამ ისიც კარგია, რომ სალათას ძილს მოვცილდით და ვლამობთ ჩვენი ჭირ-ვარამის პრინციპიალურად განხილვას, პერსპექტივების გათვალისწინებას. საკითხის ამგვარი თეორიული შესწავლა-გამორკვევა შემდეგისათვის გამოგვადგება, როცა დროთა ბრუნვის კანონი აწ თეორიულად წამოყენებულ საკითხებს დაგვაპირდაპირებს და მოითხოვს ჩვენგან მათს პრაქტიკულ განხორციელებას და შესრულებას.

სამშობლოს მოსიყვარულეთ იმ თავიდინვე გულს უკლავდა საქართველოს განაპირა კუთხეების უნუგეშო მდგომარეობა, მით უმეტეს, რომ დღეს სწორედ იმ ადგილებს დავსტირით, რომელნიც ოდესმე საქართველოს სიამაყეს წარმოადგენდნენ, მის ძვირფას განძად ითვლებოდენ.

„საქართველოს“ ფურცლებზე სამართლიანი გოდება ისმის ასეთ სამწუხარო მოვლენის გამო და, მართლაც, ის, რასაც ამ ჟამად ჩვენი სამშობლოს ზოგიერთი ნაწილი წარმოადგენს, საკეთილოდ ვერ დაახასიათებს ქართველი ხალხის ეროვნულ შეგნებას, ვინაიდგან ასში ერთი თუ მოიპოვებოდა ჩვენგანი, რომელიც დასუსტებული ხმით მაინც მიაქცევდა საზოგადოების ყურადღებას მოძმეთა ამგვარ გადაგვარებას.

მაგრამ წარსულის ჩხრეკას ნუ გამოვუდგებით, ნურც შევეხებით იმის კვლევა-ძიებას, თუ რამ გამოიწვია ჩვენი ერის დაუდევრობა, უმოქმედობა და მასზე აღმოცენებული ერთგვარი დეგრადაცია; ვინუგეშოთ იმით, რომ ამ ჟამად მაინც შევიგნეთ, როგორც ერმა—ერთეულმა, მოსალოდნელი საფრთხე უკეთუ წყლულს მალამო დროზე არ დავადეთ, არ ვკურნეთ სნეული, არ შთავბერეთ ცხოველ-მომცემი ძალა დავრდომილ სხეულს...

ერთ-ერთ იმ კუთხეთაგანს, რომლისკენაც „საქართველოს“ რედაქციამ სამართლიანად მიაქცია საზოგადოების ყურადღება, წარმოადგენს საინგილო,—საქართველოს მთლიანობის და სიმაგრის ძველი ბურჯი. ამ მდიდარ, ღვთისაგან დალოცვილ ქვეყანაში ქართველობას ამ ჟამად შერჩა მხოლოდ რამოდენიმე მართლმადიდებელ ინგილოთაგან დასახლებული სოფელი და ის ურიცხვი ნანგრევი ეკლესიებისა და ციხე-დარბაზებისა, რომელიც უტყველად ღაღადებს საქართველოს ყოფილ მშვენიერება-დიდებას. თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე, მინდვრად, თუ ველად, ჩამობნელებულ ქვეყნებში და ბუმბერაზ, ცამდის ატყორცნილ კლდეებზე აღმართინით ძველ ქართველთ კოშკები, საიდგანაც რისხვით ეგებებოდენ მტერს, რომელიც ხანდახან ლამობდა შუა-გულ ქიზიყ-კახეთში შეჭრას.

რითი უნდა აიხსნას, რომ საინგილო მეტოდიურად მიდის გადაგვარების გზაზე? რა არის უახლოესი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს, როგორც მოგვითხრობს პატივცემული ზ. ედილი, თვისი საუკეთესო კუთხე ეცლება ხელიდგან?

განხილვა ყველა იმ მიზეზებისა, რომელთა მეოხებითაც საინგილოს დენაციონალიზაცია ფესვს იდგამს, რასაკვირველია, გაზეთის ვიწრო მიმოხილვაში შეუძლებელია; ჩვენ ვეცდებით დავასახელოთ ზოგიერთი ფაქტი, აღვნიშნოთ მომენტები, რომელნიც საინგილოში ეროვნულ შეგნების განვითარებას ხელს ვერ შეუწყობდენ. ავიღოთ თუნდა სარწმუნოებრივი საკითხი: მოგეხსენებათ, რომ მართლმადიდებელი ინგილოებიც არიან და მაჰმადიანებიც; მათ შორის უმრავლესობა მაჰმადიანია. გლეხის ბნელი გონება ვერ შეეგუება იმ აზრს, რომ სარწმუნოებრივი განრჩევა არ იგულისხმებს ეროვნებას სხვადასხვაობას,—და აი, იმის მაგივრად, რომ მკვიდრთ ეს მარტივი დებულება ჩაუნერგონ, ყოველივე მიმართული იყო და არის დღესაც იმისკენ, რომ შუღლი დასთესონ ქრისტიანეთა და მაჰმადიანთა შორის, რომ ხშირად ნათესავები, რომელნიც აღიარებენ სხვა და სხვა სარწმუნოებას, წაჰკიდონ და გადაამტერონ ერთმანეთს. ამით ჩვენ არ გვინდა იმისი თქმა, რომ მაჰმადიანი ინგილოები იგივე უნდა დარჩნენ; რა თქმა უნდა, ინგილონი მართლმადიდებელნი იყვნენ, ისლამი საინგილოში უკანასკნელი დროის მოვლენა გახლავთ, რადგანაც დაუძლურებულმა საქართველომ ველარ გაუძლო თურქ-სპარსთა ბრბოს და ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ნაწილში ცეცხლითა და მახვილით დაამყარა მაჰმადიანობა. პირიქით, ქრისტიანობის გავრცელება ზაქათალის ოლქში მხოლოდ და მხოლოდ სასურველია, მაგრამ... სამწუხაროდ, სწორედ ამ „მაგრამში“ იმყოფება საინგილოს გადაგვარების უმთავრესი მიზეზი: მისსიონერების დაარსებამ საინგილოში არამც თუ არ მოიტანა სათანადო ნაყოფი, პირიქით, საქმე უარესად წაახდინა და უფრო დაამკვიდრა ისლამში ის ინგილონიც კი, რომელთა მოქცევა არც ისე ძნელი იყო. გარდა ზოგიერთი მისსიონერისა, რომელთა შორის მოსახსენებელია ისტორიკოსი და პუბლიცისტი განსვენებული მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი თვით ინგილო, მომეტებული ნაწილი მათგანი ხელმძღვანელობდა უფრო ინსტრუქციებით, ვიდრე ჭეშმარიტ ქრისტიანულ სათნოებით. თუ ჩვენ ქრისტეს მცნების ნამდვილი მოქადაგე წარმოდგენილი გვყავს ჯვრით მიმავალი და სიკეთის მთესველი, საინგილოში გამწესებულ მისსიონერებს თვალი უფრო ბოქაულებისაკენ ეჭირათ; ინგილოებს არა მგონია დავიწყებოდეთ ის სახარების მქადაგებელიც, რომელმაც „პრისტავ-ჩაფრებს“ მათრახებით დაატყეპინა ვითომდა ურჩნი ინგილონი. ეს „მშვენივრად“ დაწყებილი საქმე იმით დაამთავრეს, რომ ამ ორი-სამი წლის წინად გამოგვიგზავნეს სოფელ თასმალოში მისსიონერად მოსკოვში ვოსტორგოვის მიერ დაარსებულ სამისსიონერო კურსებ დამთავრებული მღვდელი-რუსი, რომელმაც ქართული ენა ისევე იცოდა, როგორც ჩვენ ჩინური.

მაგალითების გაგრძელება აღარ არის საჭირო, ნათქვამიდან ნათლად სჩანს, რომ სარწმუნოებრივ საკითხის ანორმალურად მოწყობამ ძლიერ შეაფერხა საინგილოში ნაციონალურ მომენტის განვითარება. ამგვარ მდგომარეობით სავსებით ისარგებლეს ეფენდი-მოლებმა, რომელთაც ხელთ იგდეს მომზადებული ნიადაგი და ხალხს ჩასჩიჩინებენ, რომ იგინი არიან მაჰმადიანები და, მაშასადამე, თათრები! საინგილოში მოიპოვება სოფლები, მაგალითად, ალიაბათი, მოსული და სხვანი, დასახლებული ინგილო-მაჰმადიანებით, რომელნიც მშვენივრად ძველ ქართულს ლაპარაკობენ. მისსიონერების მოქმედებამ, ერთის მხრივ, და მოლების მიერ პანისლამიზმის პროპაგანდამ, მეორეს მხრით, იქამდის მიიყვანა საქმე, რომ ერთ სოფელში, სადაც კიდევ შენახულა ვეფხის-ტყაოსნის ენა, მოლებმა ბრძანება გამოსცეს, რომ თითო ხარი ჯარიმა დაედება ყველას, ვინც ქართულად ლაპარაკს გაბედავსო. რომ დავამთავროთ ჩვენი საუბარი, მეტი არ იქნება მოვიხსენიოთ ისიც, რომ ამ თხუთმეტიოდე წლის წინად ერთ მისსიონერს დავალებული ჰქონდა შედგენა ინგილოთათვის ახალი ან-ბანისა... რუსული ასოებით!!

ჩვენ განზრახ მივაქციეთ მკითხველის ყურადღება სარწმუნოებრივ საკითხს: ყველასთვის ცხადია, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სარწმუნოებას მეტადრე სოფლად, უბრალო ხალხში, თუ რამდენად ძლიერ კვანძს შეადგენს იგი გლეხი-კაცის ცხოვრებაში. რიგიანი გადაწყვეტა საინგილოში სარწმუნოებრივ საკითხისა, ჩვენის აზრით, უნდა შეადგენდეს ერთს უახლოეს და უმთავრეს მიზანს ყოველ ქართველისათვის. ეს ცხადზედ უცხადესია. მხოლოდ დღევანდელს პირობებში უნდა ვეცადოთ და ვიხმაროთ ყოველივე საშუალება: სიტყვით, წერით და უფრო კი საქმით, მოქმედებით, რომ ინგილო-მაჰმადიანმა თვისი თავი ქართველად ჩასთვალოს. ქართული სკოლის დაარსება საინგილოში იქნება პირველი გაბედული ნაბიჯი, რასაც შედეგად მოჰყვება უფრო ძმური დაკავშირება ალაზნის გაღმა კუთხისა საქართველოსთან.

რ. ინგილო.

აჭარელთა შაბათი

შაბათს, 13 ივნისს, ქართული საქველ-მოქმედო საზოგადოება სახაზინო თეატრში მართავს დიდ საღამოს, რომლის შემოსავალი ჩვენ მოძმე აჭარლებს უნდა მოხმარდეს.

რომელ ქართველს არ ასტკივა გული საქართველოს ამ მშვენიერ კუთხის ოხრების გახსენებაზე, რომელ ქართველს არ მოადგება ცრემლი თვალს ამაყ და კეთილშობილ აჭარლების აწიოკების მოგონებაზედ!

მაგონდება ერთი სურათი.

კოპწია აჭარლის ფაცხასთან სდგას მაღალი, ღრმად მოხუცებული, ჭაღარა აჭარელი.

საუცხოვო, ლამაზ შეხედულობისა, მიჰყუდებია თავის სახლის დერეფნის სვეტსა და კითხვით შემოგვყურებდა:

ვინა ხართ, რისთვის მოდიხართ? გვეკითხებოდა მისი თვალები, როდესაც მიუახლოვდით მას.

— გამარჯობა მოხუცო!

— გაგიმარჯოთ...

— ეს რა სოფელია?

— ქ . . . . . ი.

— სად არის სოფლის ხალხი?

ეჭვით შემოგვხედა და მიიხედ-მოიხედა...

— ნუ გეშინიან, შენი ძმები, ქართველები ვართ... განა არა ხედავ?!.

— არა, ბატონო... თქვენი არ მეშინიან. ხალხი? სად არის ხალხი... მამაკაცი ბევრი დაიღუპა. დედაკაცები და ბალღები აქეთ-იქით კლდე-ღრეებში მიიმალა. მეც ხუთს ჩემს შვილის-შვილს ვპატრონობ. მამა მოუკლეს, დედა ჭკუაზე შესცდა და მოკვდა. დავრჩი მე, მოხუცი, ხუთი ბალღით.

— სადა გყვანან?

— აქვე ახლოს არიან.

— არ შეიძლება დაუძახო?

— რატომ,—სთქვა მოხუცმა და ჩქარის ნაბიჯით სახლს მოეფარა. რამდენიმე წუთის შემდეგ თავს წამოგვადგა ხუთი მშვენიერი ბავშვი—ორი ვაჟი და სამი ქალი. საუცხოვო სილამაზისა, შავ თვალებიანი, ხუჭუჭ-თმებიანი, ბავშვები ებლაუჭებოდნენ თავის პაპის განიერ ნაოჭებიან შარვალს და შიშით შემოგვყურებდნენ. ლამაზ სახეებზე ეტყობოდათ ტანჯვა და შიმშილი. ერთმა დაუწყო პაპას ჩოჩხოლი.

— რა გინდა, გოგო? სირცხვილია, გამეცალე! ეუბნებოდა მოხუცი.

— მშიან, მშიან!.. ევედრებოდა ბავშვი.

— ჩვენცა გვშიან, ალი! ერთხმად შესძახეს სხვებმაც.

— საბრალო ალი იდგა გაჩუმებული, გათეთრებული, დატანჯული.

— რა გიყოთ, ბალანებო! აი იქნება ჩვენს ქართველ ძმებს ჰქონდეთ პური... ბატონო, ცოტა პური გექნებათ... ბალანები ერთი კვირაა ასე მშიერნი მყვანან... ვაი რა დღეში ჩავარდით, რა დღეში!..—ამბობდა მოხუცი ალი და თან სტიროდა.

ამ სცენის დანახვამ ყველანი აგვალელვა. მაშინვე ყველანი ერთმანეთს ვეცით, იქნება ვისმე თან პური წამოეღო. მაგრამ ნამცეციც არავის ჰქონდა. მაშინვე ვაფრინეთ კაცი და ნახევარ საათის შემდეგ ორი ვეებერთელა სალდათური პური მოარბენინა. გადავეცი მოხუც აჭარელს.

საბრალო ალი [illegible] მადლობით და ლოცვით [illegible] თავის გარშემო ხუთი შვილის-შვილი, მოუჭრა თითო ლუკმა და თვალ-ცრემლიანი, სიყვარულით შესცქეროდა ბავშვების სიხარულს.

ასეთ დღეშია დღეს მთელი აჭარა. იგი სავსეა ობოლი ბავშვებით, ავადმყოფ დედაკაცებით, მოხუცებით. ყველანი შიმშილსა და ტანჯვას განიცდიან. საჭიროა შველა და დახმარება. ქართველობა თავის ძველ ძმებისთვის, ვიმედოვნებთ, უხვად გამოიღებს თავის წვლილს აჭარელთა სასარგებლოდ... ასეთ განწირვის დღეებში ერთმანერთის მხარის დაჭერას, ერთსულოვნობას და ერთობას დიადი მნიშვნელობა ეძლევა.

ჩვენი ძალა და მომავლის ხსნა ერთობაშია.

მაშ მივცეთ ხელი შველისა ჩვენს დარბეულ და მშიერ აჭარას, მივცეთ ნუგეში გამოცოცხლებისა! წავიდეთ აჭარელთა საღამოზე და დავიხსნათ სიკვდილისაგან ალიას შვილის-შვილები.

დ. კახელი.

ახალი ამბავი

✦ **სულთა-მხუთი გაზის საწინააღმდეგო მასალის დამზადება.** გუშინ-წინ, 10 ივნისს, საღამოს ხუთ საათზედ, მის ბრწყინვალების სტატს-დამის გრაფინია ვორონცოვ-დაშკოვის თავმჯდომარეობით, მის იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფე-დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის საწყობის შენობაში, მეფის მოადგილის სასახლეში, თათბირი გამართა სულთა-მხუთი გაზის საწინააღმდეგო მასალის დამზადების თაობაზედ. თათბირზედ მოწვეული იყვნენ პროფესორი მიროტვორცევი, სამხედრო სასანიტარო ინსპექტორი ბ-ნი კოპაძე, თბილისის ქალაქის თავი ბ-ნი ხატისოვი და თბილისის ყველა ლაზარეთის უფროსი ექიმები. ინსტრუქტორმა კრასნოლცვეტოვმა აჩვენა დამსწრეთ თუ როგორ უნდა გაკეთდეს მასალა.

ქიმიური ხსნილი (растворъ) დამზადდება წითელ ჯვრის საქიმიო ლაბორატორიაში, რომელიც ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მოთავსებული.

✦ 14 ივნისს დილის 11 საათზე მუსულმანთა აუდიტორიაში სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნება ერისთავის დრამა: „ქოროღლი“.

✦ **საიდუმლო ყასაბხანები.** თბილისში პოლიციას აღმოუჩენია რამდენიმე ისეთი ადგილი, სადაც მალულად საქონელს ხოცავენ. გამოძიება სწარმოებს.

✦ **ავსტრო-გერმანიის საქონლის წინააღმდეგ.** თბილისის ვაჭართა საზოგადოებას მოუვიდა მოსკოვის ვაჭართა საზოგადოებისაგან გრძელი სია გერმანიისა და ავსტრიის საქონლისა, რომელიც, მიუხედავად მის წინააღმდეგ მიღებული სასტიკ ღონისძიებისა, ეხლაც შემოაქვთ რუსეთში. მოსკოვის ვაჭართა საზოგადოება თავის მხრივ აღნიშნავს ამ საქონლების შემოტანა-გავრცელების წინააღმდეგ საშუალებებს და სთხოვს თბილისის ვაჭართა საზოგადოებას გამოსძებნოს რაიმე ღონისძიებანი.

✦ **ტრამვაის საზოგადოების დაჯარიმების შესახებ.** ამას წინად ქალაქის საბჭომ დაადგინა ჯარიმისაგან განთავისუფლდეს ტრამვაის საზოგადოება 1913 წელში ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვის დროს ვაგონთა სავალდებულო რიცხვის გამოუშვებლობისათვის. საბჭოს ხმოსანი ა. ს. ბაბოვი ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგია. იმან საბჭოში წარადგინა წერილობითი პროექტი, რომელშიაც ამტკიცებს, რომ საბჭოს გადაწყვეტილება არსებითად ზარალს აძლევს ქალაქის ინტერესებსო. პროტესტს მხარს უჭერს ხმოსანი პ. ა. გოთუა.

✦ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას** აუარებელი სოფლის ხალხი აწუხებს შაბიამნისა და გოგირდისათვის, მაგრამ მთხოვნელთა მეასე ნაწილსაც ვერ აკმაყოფილებს საზოგადოება.

✦ **საბირჟო კომიტეტში.** საბირჟო კომიტეტს კრება ჰქონდა 10 ივნისს. განხილულ და შეწყნარებულ იქმნა ხერსონის საბირჟო კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ არყის მონოპოლია სამუდამოდ გაუქმდეს რუსეთში, რის შესახებ დანარჩენ კომიტეტებთან ერთად 2) შუამდგომლობა უნდა აღიძრას რუსეთ ინგლისის სავაჭრო პალატის გახსნის შესახებ კავკასიაში და კომიტეტი ეხლავე შეუდგეს სა-

სჭირო მასალების შეგროვებას, 3) დეპეშით შუამდგომლობა აღიძრას პეტროგრადში შესახებ დაარსებისა სამხედრო ამრეწველო ბიუროს განყოფილებისა კავკასიაში. ამ ბიუროში მონაწილეობა უნდა მიიღონ კავკასიის საბირჟო კომიტეტებმა და ვაჭარ-მრეწველებმა.

◆ **ქალაქის საბჭოს სამოსწავლო კომისიამ** დაადგინა 10 ივნისს: 1) საქალაქო პირველდაწყებითი ქართულ სკოლების გამგეებად დაინიშნონ—ნ. რ. ალნიაშვილი მეორე კუკიის სასწავლებელში, ე. ა. ჭანტურია ნაძალადევში და ე. ი. ჭიჭინაძე ავლაბარში; 2) გაიგზავნოს დილიჟნის სატუბერკულიოზო სანატორიაში 4 ღარიბი მოსწავლე.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ** მიიღო შემოწირულება შემდეგი პირებისაგან: რაჟდენ კვეზერელი—1 მან., სიღნაღის საურთიერთო ნდობის საზოგადოება—200 მან., წ.-კ. გ. საზოგადოების სიღნაღის განყოფილება ნ. ლომაურისათვის გვირგვინის მაგიერ —25 მან., „ხმა კახეთის“ რედაქცია (შეგროვილი)—26 მანეთი 39 კაპ., „თანამედროვე აზრის“ რედაქცია (სხვადასხვა პირებისაგან მიღებული)—504 მან. 35 კ., გიორგი ღოღობერიძე—15 მან., ლევან აფხაზი (შეგროვილი დავით ჩოლოყაშვილისათვის გვირგვინის მაგიერ)—79 მან., ნიკოლოზ გოგიტიძე—3 მან., თელავის მაზრის მარშლის თავ. მ. ჭავჭავაძე (შეგროვილი)—511 მან. 75 კაპ., ქალაქთა კავშირის ბიურო (ორჯერ სანიტარული რაზმის გასაგზავნად აჭარაში)—1000 მ., ქ. შ. წ. გ. საზოგადოება (ნ. ლომაურის სახელის აღსანიშნავად აჭარლებისათვის) —25 მან., სამეურნეო ბანკის წევრები (ცალკე სიით)—243 მ., 38 კაპ., ა. ფალავანდიშვილი (შეგროვილი ავლევის საკრედიტო ამხანაგობის წევრთა შორის აჭარლების სასარგებლოდ) 54 მ. 41 კაპ., სტეფანე ელიაძე (ორჯერ)—389 მ., „სახალხო ფურცლის“ რედაქცია სამჯერ (შემოწირულება სხვადასხვა პირთა) 1800 მან., დავით ჯორჯაძე—5 მან., მარიამ კვინიტაძე—10 მან., ბარბალე მაყაშვილი —10 მანეთი, ექ. ნ. გვრიტიშვილი (წ. კ. გ. საზოგადოების საშუალებით)—50 მან., ქალაქის ლაზარეთის № 12 მოსამსახურეები აჭარლების სასარგებლოდ: ი. პ. მზარუდუა—1 მ. 50 კაპ., მზარედუა 1 მან., ნინა ტოლონიძე 1 მან., თამარა ტოლონიძე 1 მან., თამარა მომცემლიძე—1 მ., ივანე ქავთარაძე—50 კაპ.

სულ 4,958 მანეთი 28 კაპ., წინანდელ შემოწირულებასთან ერთად იქნება სულ 10,070 მან. 39 კაპ.,

◆ **ისევ შაქრის შესახებ.** ადესაში ჰქონიათ ნაყიდი ალექსანდროვის სავაჭრო ფირმას 70 ვაგონი შაქარი, ფეოდოროვისას—110 ვაგონი, სეილანოვისას —80 ვაგონი და გრინერეს—8 ვაგონი. რადგან ამათ შაქრის წამოღება უძნელდებათ, თბილისის ქალაქის გამგეობას დახმარება სთხოვეს; ქალაქის სამეურნეო კომისიამ ამის გამო შუამდგომლობა აღძრა თბილისის გუბერნატორის წინაშე განკარგულება მოახდინოს, რათა ხსენებულ ფირმებს მისცეს ადესაში ვაგონები.

◆ **კრება.** შაბათს, 13 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგ. კანცელარიაში დანიშნულია ქალთა კრება წ. კ. გ. ს. სასარგებლოდ 21 ივნისისათვის განზრახული სეირნობის საქმის მოწყობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

სეირნობის მომწყობი კომისია უმორჩილესად სთხოვს ყველა იმ მანდილოსნებს, რომელნიც მონაწილეობას დებულობდნენ და ღებულობენ აღნიშნული სეირნობის მოწყობის საქმეში, მობრძანდნენ კრებაზე.

არ დაიჯერა

(თქმულება)

— რა მშვენიერებაა!—წამოიძახა გარემოს სილამაზით აღტაცებულმა ადამიანმა, როცა პირველად თვალი გაახილა.

— გაფრთხილდი!—გაისმა საიდუმლო ხმა.—აბა იგემე აი ეგ ნაყოფი.

ადამიანმა დედამიწას მიაპყრო თვალი და უცნაური, მაგრამ ლამაზი საგანი დაინახა...

იგემა და სახე გაუბრწყინდა.

— კიდევ იგემე!—დაუძახა უჩინარის ხმამ.

ადამიანმა კიდევ მიაპყრო თვალი და კიდევ ის საგანი დაინახა. გახარებულმა დაავლო ხელი და გაკმიჩა, მაგრამ სახე მოინაოჭა და ლუკმა პირიდან გადმოაგდო.

— ასეა!—დაასკვნა ხმამ.—ყოველ საგანში სიტკბოებაც არის, სიმწარეც არის.

მაგრამ ადამიანმა ქალწულს ბუნებას თვალი გადაავლო და ყველაფერი გადაავიწყდა.

— გახსოვდეს!—მოესმა ყრუთ ადამიანს საიდუმლო ხმა.—მშვენიერებას, როგორც სიკეთე ისე სიბოროტეცა სდევს თანა,

— განა ის, რაც გულში მიღიტინებს და ტანში სიამოვნების ჟრუანტელსა მგვრის, ცუდი იქნება?!.. იფიქრა ადამიანმა და არ დაიჯერა საიდუმლო ხმის ნათქვამი.

მახლობელ ბუჩქზე ტურფა ყვავილს მოჰკრა თვალი, მოეწონა და გადასწვდა მოსაწყვეტად, მაგრამ ბუჩქის ეკალი ხელში გაებნა.

პატარა ცქრიალა ოთხფეხი ცხოველი დაინახა, უნდოდა ხელში აეყვანა... ცხოველი გაიქცა.

დაღონდა ადამიანი, მაგრამ სახე ისევ მალე გაუბრწყინდა: ლამაზი ჩიტუნა დაინახა და ხელი წაატანა. ჩიტუნა გაფრინდა და ადამიანს სახე მოეღუშა.

აფერადებულს მწვანე ველზე წამოწვა. განცხრომას მიეცა.

ტყიდან უცნაური არსება გამოცქრიალდა სულ ადამიანსა ჰგავდა. მხოლოდ ზურგზე ფრთები შესხმოდა. პირტიტველი იყო.

მწოლარეს მიუახლოვდა და ცნობის მოყვარეობით დახედა. გაიღიმა. თვალები აუჟუჟუნდა. ბოლოს შეიფთხრიალა და ჰაერში ცურვა დაიწყო. ხან დაბლა ეშვებოდა და მწოლარეს ნიავისებრ ეხებოდა, ხან მაღლა ადიოდა და კამარასა ჰკრავდა.

ადამიანი ჯერ მხოლოდ უცნაური არსების მჭერით სტკბებოდა, მერე კი ხელის შეხებაც მოისურვა. ფრთაში სწვდა,

უცნაურმა არსებამ იწივლა: ფრთა მოსტყდა.

ადამიანი შეკრთა. გული დაუწვა თავისმა სიტლანქემ.

— შენ მე ფრთა მომტეხე,—უთხრა უცნაურმა არსებამ.—მე შენი ბედი ვარ. რაკი ხელი შემახე, ველარა მნახავ. მშვიდობით. ისეთ მაღალს მთაზე დავსახლდები, რომლის მწვერვალი ცას ებჯინება და ადამიანის ფეხი თავის დღეში არა ხვდება.

უცნაური არსება უჩინარ იქმნა.

ადამიანმა ამოუშვა ტირილი. მთელი დღე და ღამე მდუღარებას აბნევდა. წინ ცრემლის გუბე დაიყენა. თავის ბედსა ჩიოდა.

ცრემლის გუბე ნელ-ნელა გაიზარდა და ადამიანს კოჭებამდე მოჰყარა.

ადამიანმა მაღალ მთას მიაპყრო თვალი და დაინახა, რომ მთის მწვერვალი ცას ებჯინებოდა.

— იქ არის ჩემი ბედი!—წამოიძახა გახარებულმა და მთას შეუდგა.

მიაღწია მწვერვალსა, მაგრამ ცა ძალიან, ძალიან შორს იყო. დაჯდა ადამიანი და წინანდებურზე უფრო მწარედ ატირდა.

ცრემლის რუები წამოვიდა მთიდან. წინანდელი პატარა გუბე გაიზარდა და ზღვად იქცა.

გახედა გაღმა ადამიანმა და უფრო მაღალ მთას მოჰკრა თვალი.

— აი იმ მთის მწვერვალი კი უთუოდ ცასა წვდება!—წამოიძახა მტირალმა.—უნდა წავიდე.

გაიკეთა ნავი და ცრემლის ზღვაში შეცურდა.

ქარმა დაჰბერა და ნავი ისარივით გააქანა.

მიმოავლო ნავიდან თვალი ადამიანმა და ნახა, ყველა მთის მწვერვალი ცასა სწვდებოდა. მოინდომა უკან დაბრუნება, მაგრამ ვერ შესძლო.

ზღვა ბობოქრობდა, ტალღას ტალღაზე ახლიდა და ნავს თავის ნებაზე ნაფოტივით ათამაშებდა.

ინ—ბანი.

წერილი თხრილებიდან

აგერ ექვს თვეზე მეტია რაც მუდმივ პოზიციაზედ ვიმყოფები, ამ ექვს თვეში ბევრი რამ დაატყდა ჩემს უბედურ თავს; ბევრი შიმშილ-წყურვილიც განვიცადე, რადგან ზოგ ალაგას სახიფათო იყო მოზიდვა სანოვაგის და მთელი დღეობით კონსერვებზე და ხმელ პურზე გადავდიოდით. გარდა ამისა, ბევრი სიცივე-ყინვა და თოვლი გამოალხო ჩემმა თავმა, ბევრი წარმოუდგენელი, საშიშარი, კალმით აუწერელი მდგომარეობა გამოიარა, რომელიც ხშირი სტუმარია პოზიციაზედ დასახლებულ ჯარის კაცისა, მაგრამ ისეთი არაფერი მინახავს და მომსწრებია, რასაც 18 აპრილს მოვესწარი. ბრძოლას და ყოველივე მის მრისხანებას მე თითქმის 12—15 დღეში შევეჩვიე. მრავალჯერ იყო ისეთი შემთხვევაც, რომ ყურებთან მიზზუოდა მტრის ტყვია, მაგრამ მე გზაც არ შემიბრუნავს სანამ საქმე არ გამიკეთებია. იყო მრავალი ასეთი შემთხვევა. მტერმა ნიშანში ჰრილობა-შესახვევი პუნქტი ამოიღო, რომელიც მე მეკუთვნოდა და ყუმბარას ზედი-ზედ ახლიდა. ერთხელ ჩამოანგრიეს კიდეც მთელი ნახევარი გვერდი შენობისა, მაგრამ არ ავჩქარებულვარ, სანამ უკეთესი ადგილი არ მომინახავს. იყო ისეთი შემთხვევაც რომ, როდესაც დაჭრილს ვახვევდი, გასკდა შრაპნელი ჩვენს თავზე, მძიმედ დასჭრა სანიტარი, რომელიც მეხმარებოდა. დაჭრილი ხელმეორედ დაიჭრა, მე კი ყურები დამიგუბა მოკლე ხნით. თურმე აქამდის ნანახი ხუმრობა იყო. 18 აპრილს ნანახმა სურათმა კინაღამ გადამრია, ჩემი ნერვები დაასუსტა და მიარყია. 16 აპრილსვე შეამჩნიეს ჩვენებმა რომ რაღაც ეშმაკობას აპირებდნენ გერმანელები და ამიტომ ჩვენი პოლკიც კარგად მოემზადა. წინა თხრილებში მიიტანეს საველ ზარბაზნები, ტყვიამფრქვეველით სულ გაავსეს წინა ხაზი და სმენად იყვნენ გადაქცეული. 17 აპრილს, საღამოს 8 საათი იქნებოდა, რომ გერმანელთა ორკესტრი აღრიალდა და მას მიჰყვა არეულ-ჩარეული ყატყატი და ხმაიანობა. ეს იყო ნიშანი საიერიშოდ დამზადებისა. ღამის 4 საათი იქნებოდა, რომ არტილერიის ცეცხლმა დაგვაფრთხო და სმენად გვაქცია. დიდ მუშაობაში იყვნენ როგორც მათი, ისე ჩვენი ზარბაზნებიც. უბედური წამები იწყებოდა, საშინელი, აუტანელი სუნი დადგა გერმანელების გამოსროლილ ყუმბარებისა იმ ტყეში, სადაც ჩვენ ვიყავით. ასეთი უბედური ქუხილი იყო დილის 5 საათამდე და ამ გრიალში თოფის ხმა სულ აღარ ისმოდა. დილით ცოტა ხნით შესუსტდა სროლა და დაჭრილებიც მოაწყდა ჩვენს „პუნკტს“. მათ შორის გერმანელებიც იყვნენ, რომლებიც ჩვენსკენ გამოქცეულიყვნენ ტყვედ ჩასავარდნად, მაგრამ მოსვლამდე მაინც დაჭრილიყვნენ. გამოირკვა, რომ ორ ჩვენს ბატალიონზედ მოდიოდა მთელი დივიზია, მაგრამ უკუვაქციეთ საშინელის დანაკლისით და დამარცხებით. ველზედ დახოცილი ისე ეყარა როგორც რიყეზე ქვა. მხოლოდ სასაცილო სანახავი იყო მეორე დილას ბოჭკები რომ დაცურავდენ მდინარეში, რომელიც ჩვენსა და მტრის შუა ჩამოდიოდა. გერმანელებს თავის შესაფარებლად გაევსოთ ბოჭკები სილით და იმას მიაგორებდნენ წინ იერიშის დროს, მაგრამ თავდაღმართში ბოჭკები გადაუგორდათ და სუყველა წყალში ჩაუცვივდათ. დილის ექვსი საათიდან ქარიშხალის „სიმშვიდემ“ მოიცა არე მარე. გეგონებოდათ არაფერი მომხდარაო. ეს სიწყნარე ხანმოკლე გამოდგა. არ გასულა ორი საათი, რომ ხელახლა ასტყდა ჭექა-ქუხილი ზარბაზნებისა, მაგრამ ეხლა ჩვენები პასუხს არ აძლევდნენ. გერმანელები ესროდნენ შტაბს და მის მიდამოებს. სამი ოთხი დღის წინად ერთი მოხუცი პოლონელი ჩვენს ახლო, შტაბთან 400—500 ნაბიჯის მანძილზედ მიწას ხნავდა კარტოფილის დასათესად. ამ დღესაც ე. ი. 18 აპრილს, კიდევ მოსულიყო სახნავად, მაგრამ მოულოდნელმა ზარბაზნების ჭექა-ქუხილმა შეაშინა და ის იყო კიდეც ერეკებოდა ცხენებს სახლისკენ, რომ ერთი ყუმბარა იქვე გასკდა და იქვე მოუკლა ერთი ცხენი. ყუმბარით დაყრუებული უბედური მოხუცი მივარდა მეორე ცხენს გამოსაშვებად, მაგრამ ამ დროს მეორემ მოასწრო და ეს მოხუცი თავის ცხენით ნაჭერ-ნაჭერად აქცია. ასეთი სურათის დანახვამ წელში მომშალა, ამაცახცახა, კინაღამ გონება დამიკარგა.

გერმანელებმა ერთი მოზრდილი სოფელი ამოიღეს ნიშანში და მალე გაანადგურეს. შემდეგ დაწყნარდნენ. დაჭრილები არ მოჰყავდათ. ვისარგებლე და გავეშურე სოფლისაკენ. სოფელს რომ მივუახლოვდი, ჩემი თვალი პირველად კათოლიკეთა ეკლესიამ მიიპყრო, რომლის მშვენიერი მხატვრობა ჩამოშლილ-ჩამონგრეული და განადგურებული იყო, მაგრამ ეს არაფერი. რაც მე იქ საშინელი, უბედური და საზიზღარი სურათი ვნახე, მათი სათითაოდ აღწერა ახლა არ ძალმიძს. არასოდეს არ დამავიწყდება მხოლოდ ორი სურათი. პირველი სურათი ასეთი იყო: როდესაც ერთ სახლში შევედი, სადაც ხალხი შედიოდ-გამოდიოდა, დავინახე შემდეგი: ყუმბარას იქაურობა მიენგრ-მოენგრია. იქვე ლოგინი ეყარა. ლოგინზედ უძრავად იდვა გაცივებული, შუბლ გატეხილი, სისხლში გასვრილი ქალი, რომელსაც ერთი წლის ყმაწვილი ეხუტებოდა და უთათუნებდა სისხლით დასვრილ გულ-მკერდში თავის პაწაწა ხელებს და ძუძუს სთხოვდა. ბავშვის მამა შინ არ იყო. მერე მოვიდა და ძლივს მოაშორა ყმაწვილი მკვდარ დედას.

მეორე სურათი უფრო საშინელი იყო. ერთ მოზრდილ სახლს დასცემოდა ყუმბარა ზედიზედ და სულ მტვრად ექცია იგი. სახლში მყოფი 5 სული—ერთი მოხუცი 70 წლის დედაკაცი, ერთი ოჯახის დიასახლისი დედა, ორი 17—18 წლის გასათხოვარი ქალი და ერთი 12 წლის ვაჟი სულ ნაჭრებად დაეფლეთა და გადაეყარა აქა იქ. მე რო მივედი, ამ ნაჭრებს აგროვებდენ სალდათები. მამაკაცი სხვაგან ყოფილიყო და არ იცოდა თავისი ოჯახის უბედურება და არც მე მომიცდია: საჩქაროდ მოვშორდი ამ წყეულ სურათს. ასეთი სურათების მნახველი მას შემდეგ წავხდი და მოვიშალე. უწინ მაგარი, ყველაფრის ამტანი, ეხლა ნახევარიც აღარ ვარ გულით და ნერვებით. ძილიც გამიფრთხა, საშინელი სიზმრები მტანჯავს, მაშინებს, მაკრთობს... მოგონებაც მეძნელება.

გიორგი ნიკოლაიშვილი.

პრესა

„სახალხო ფურცელი“ ცდილობს გააქარწყლოს ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა პეტროგრადელ ქართველების პროტესტმა წინააღმდეგ ნეიდგარტის მოწოდებისა. მოვაგონებთ მკითხველებს, რომ ამ მოწოდებაში ყველა ერი იყო ჩამოთვლილი გარდა ქართველისა. პროტესტში სხვათა შორის ეწერა.

ან იქნება როდესაც ბ. ავტორი ამიერ-კავკასიაზე ლაპარაკობს, მხედველობაში მხოლოდ სომხები ჰყავს. თუმცა ადგილი არ არის და არც დროა მოწოდების ავტორის სწავლებისა, მაინც ვიტყვით, რომ მეშვიდე საუკუნიდგან მოკიდებული, ქრ. დაბადებამდე, 1801 წლამდე ამიერ-კავკასია ეკუთვნოდა ქართველებს, და სომხები იყვნენ და არიან ჩანართი ელემენტი და სხვა არაფერი.

ეხლა წაიკითხეთ როგორ განმარტავს ზემო აღნიშნულ ამონაწერს და უპასუხებს პროტესტის ავტორებს „სახალხო ფურცელი“.

რასაკვირველია, თავისთავად ძალიან მოსაწონია პროტესტის განცხადება, როცა უმართებულოდ ეპყრობიან შენს უფლებას, მაგრამ რა საჭიროა საკუთარის უფლების დასაცავად ისეთი ცნობების მოყვანა, რომლებიც სრულებით არ შეეფერიან სიმართლეს, როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ 1801 წლამდის სომხები ამიერ კავკასიის მკვიდრნი არ იყვნენ! ან რა ფასი აქვს ასეთ ცნობებს?.,.

……

ან და რა უფლებით გადააკეთა „სახალხო ფურცელმა“ პროტესტში ნახმარი სიტყვა „ჩანართი“ „მკვიდრად“! ალბად იმიტომ რომ რევერანსი უფრო თავაზიანი ყოფილიყო.

რუსეთის ცხოვრება

თოფ-ზარბაზან-ყუმბარისა და სხვა სამხედრო სურსათის ნაკლებობამ რუსეთში საზოგადოების ყველა წრე აალაპარაკა. ყველამ იგრძნო, რომ მარტო მთავრობის ძალა საკმარისი არ იყო ამ ნაკლის ამოსავსებად. დიდი ეროვნული საჭიროების შეგნებამ მთავრობის დასახმარებლად აამუშავა ყველა არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია; დაარსდა რამდენიმე ახალიც. მოხდა სრული მობილიზაცია რუსეთის სამრეწველო ენერგიისა. ერთად ერთის მიზნითა, რომ ჯარს საჭირო სურსათი თავის დროზე მიაწოდონ. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ: ა) ეხლახან სახელმ. სათათბ. თავმჯდომარის ბ-ნ როძიანკოს თაოსნობით დაარსებული და უმაღლესად დამტკიცებული საგანგებო კომისია, რომელსაც თავჯდომარეობს ბ-ნი სამხედრო მინისტრი; ბ) სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი, რომელიც დააარსა ამას წინეთ პეტროგრადში მომხდარმა მრეწველთა წარმომადგენლების კრებამ; გ) სრულიად რუსეთის ერობათა კავშირი, დ) რუსეთის ქალაქთა კავშირი და ბევრი სხვაც.

—

მოსკოვის სამხედრო სამრეწველო კომიტეტის გარშემო. ეროვნული მრეწველობის განმტკიცების სურვილს მიმდინარე სამხედრო საჭიროოების დასაკმაყოფილებლად საზოგადოების ყოველი ნაწილი შეუპყრია. მოსკოვში მთელი რიგი კრებებისა გამართა იმ კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოეწყო სამხედრო სამრეწველო კომიტეტი. სხვა და სხვა [illegible] სამრეწველო ორგანიზაციებმა [illegible] კრებები და თავ-თავისი წარმომადგენელნი აირჩია სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში.

ასე მაგალითად, თავ-თავისი დელეგატები აირჩიეს სრულიად რუსეთის ერობათა კავშირმა, ბამბეულობის მრეწველთა საზოგადოებამ, საკვები სურსათის ბირჟამ, ვაჭართა წოდებამ და ბევრმა სხვამ. სამხედრო სამრეწველო კომიტეტთან დაარსდა სამექანიკო სექცია, სატეხნიკო სასწავლებლის დირექტორის თავმჯდომარეობით.

—

მოსკოვის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებამ მოახდინა შეერთებული სხდომა არაყის გამომხდელთა საბჭოსი და მევენახეობის კომიტეტისა. დაადგინეს, ყველა ქარხანა-ფაბრიკები დაუთმონ ომის საჭიროებას სამხედრო მასალის დასამზადებლად. ყველა არყის ქარხანა გადასცეს სამხედრო სამრეწველოს კომიტეტს სრულს განკარგულებაში.

ერობათა კავშირი. 5 ივნისს ქ. მოსკოვში თათბირი მოხდა სრულიად რუსეთის ერობათა კავშირის რწმუნებულებისა. თავმჯდომარეობდა ბ-ნი გ. ლვოვი, ერობათა კავშირის მთავარი რწმუნებული. თათბირში მონაწილეობა მიიღო საგუბერნიო ერობათა და ადგილობრივ კომიტეტების 70 წარმომადგენელმა. დამსწრეთა შორის იყვნენ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯრომარის ამხანაგი ბ-ნი ს. ვარუნსეკრეტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი გრაფი მუსინ-პუშკინი, სახელმ. სათათბ. წევრები: ბ-ნნი ვ. ხარლამოვი და ი. უ. ლებედევი: სტუმრებად მოპატიჟებული იყვნენ დეპუტატი მაკლაკოვი, პ. სტრუვე და პროფეს. კოტლიარევსკი.

კრება გახსნა ბ-მა თავმჯდომარემ მოზომილი სიტყვით, რომელშიაც სხვათაშორის აღნიშნა თუ რა საშინელა არტილერიის წინააღმდეგ მოუხდა ბრძოლა რუსეთის ჯარს, რომელიც სულით ჯერ კიდევ მტკიცე არის. გამარჯვება, რომლის იმედი რუსეთის ხალხს არ დაკარგვია, მხოლოდ მაშინ გადიქცევა სინამდვილედ, როდესაც მთელი რუსეთი სავსებით მოიკრებს თავის ძალღონეს, და თითოეული ჩვენგანი თავის გავლენის ფარგალში მთელ თავის ენერგიას ამ იმედის განხორციელებას შეალევსო. თავის სიტყვის დასასრულში ბ-ნ ლვოვმა მოუწოდა რუსეთის ერობას, ამ უძველეს სახელმწიფო ორგანიზაციას, გააორკეცოს თავისი მოქმედება, და ხელი-ხელ ჩართული იმუშაოს, სხვა ორგანიზაციებთან ერთად, რუსეთის ჯარის უზრუნველსაყოფელად სამხედრო სურსათის მხრივ.

სომეხთა შორის

„მშაკი“ სწერს: „მუშსა და მის მიდამოებში შეიარაღებულია 7000 სომეხი. მათ შორის ბევრი ოსმალეთის ჯარიდან არის გამოქცეული. სასუნმა ოსმალებს არ მისცა არც ერთი კაცი და არც ერთი გროში.

ოსმალებმა გამოგზავნეს სასუნში მოხელეები ჯარში გასაწვევთა შესაკრებად, მაგრამ სომხებმა ეს მოხელენი ამოჟლიტეს. მუშის ახალგაზდობა მზად არის აჯანყება მოახდინოს როცა... რუსის ჯარი მუშს მოუახლოვდება. ზოგიერთ სოფელში სომხებს ჟლეტა დაუწყეს ერთი თვის წინად ქურთებმა შეიხ-აზრათისა და შეიხ-ალის ხელმძღვანელობით. ქურთები პირდაპირ აცხადებენ, რომ ისინი ვერასოდეს ვერ მოინელებენ იმ აზრს, რომ სომხები უნდა განთავისუფლდნენ. ისინი ამბობენ: „სანამ რუსის ჯარი ჩამოვა, სომხები სულ უნდა ამოვჟლიტოთ, თორემ როცა რუსები მოვლენ, თვითონ სომხები ამოგვჟლეტენ“.

⁂

სანამ რუსის ჯარი ვანს აიღებდა, სომეხთა და სომხური გაზეთები იუწყებოდნენ: ვანში აჯანყება დაიწყო სომეხთა. დღე და ღამ სროლაა. რამდენიმე სომეხი დასჭრეს და მოჰკლეს. ვანის აღების შემდეგ იქიდან ჩამოსული ერთი სომეხი ექიმი სწერდა „კავ. სლოვო“-ში, ვითომ სომხებს მოუკლეს 30 კაცი და დაუჭრეს 200. ეხლა „ჰორიზონი“ ბეჭდავს აჯანყებულთა ბელადის ორს ბრძანებას, რომელნიც დაწერილ არიან 7 და 8 აპრილს. ერთში სწერია: „ოსმალები დავამარცხეთ. მტერი რომ ათასჯერ გაისვრის თოფს, ჩვენ ერთხელ ვუპასუხებთ. გავუფრთხილდით პატრონებს! ოსმალო ხალხი ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებს“. მეორე ბრძანებაში სწერია: „მეგობრებო! წუხელ მტერმა ზარბაზანი დაგვიშინა და ასი ათასობით დახარჯა თოფის პატრონა. მათ მხოლოდ ჩვენი შეშინება უნდოდათ.

ჩვენი ერთიც არ დაჭრილა. ჩვენ პასუხი არ გაგვიცია. ამხანაგებო! ყუმბარებმა მხოლოდ უიარაღოები აზარალა. ვისაც იარაღი არ აქვს, საიმედო ადგილებში მიმალეთ. გამაგრდით! ყველგან ჩვენ ვიმარჯვებთ! ვისაც „იარაღი უნდა, ჩვენთან მოვიდეს. მხნედ და მზად იყავით! გაუფრთხილდით პატრონებს!“

მოსკოვის ამბები

29 მაისს დილიდან ცეცხლის წაკიდება. საღამოს 6 საათზე დაიწვა კელლერის საფთიაქო მაღაზია. რაკი-ღა იქ ასანთობი მასალები ბლომად იყო, ამიტომ ცეცხლი სწრაფად მოედო და ყოველისფერი ნახევარ საათში გადაიწვა. შემდეგ ცეცხლი გაჩნდა სხვა და სხვა ადგილას, სპილენძეულობის ქარხანაში, სარეზინო-სართავ ფაფრიკებში, გადაიწვა სამანუფაქტურო მაღაზია ბრაუნისა, შემდეგ საპნის ქარხანა პეტროეკაში, ბახმატიევის ქუჩაზე, და სხვ. სხვ.

განსაკუთრებით დიდი ცეცხლი გაუჩნდა ვოგაუს სახლს ვარვარკაში, სადაც მოთავსებულია მთელი რიგი უდიდეს წარმოებათა მართველობანი. ღამის 12 საათზე თვით ბრანდმაიორი წარსდგა მთავარმართებელ თავ. ფ. ფ. იუსუპოვთან და მოხსენებაში აღნიშნა, რომ 40-გან წაუკიდეს ცეცხლიო. დილით გამოირკვა, რომ სულ 60 ადგილას წაეკიდებინათ ცეცხლი. რაც ცეცხლისმქრომელთა რაზმებია, ყველა ფეხზე წამოაყენეს მაგრამ ზღვა ცეცხლთან თითქოს ყოველი ღონისძიება ამაო იყო.

29 მაისს დილით კიდევ რამდენგანმე წაუკიდეს ცეცხლი. ყველაზე დიდი ცეცხლი გაუჩინეს მეშჩანის ქუჩაზე და კუზნეცის ხიდზე ზახარინის სახლში, სადაც 64 გადაიწვა. ასევე დაიწვა ციმერმანის უდიდესი მაღაზია. 28 მაისს დაწყებული ცეცხლის წაკიდება 29-საც განაგრძეს და მხოლოდ მესამე დღეს მოახდინეს ჩაქრობა.

ტრაგიკული ხასიათი მიიღო ემილ ცინდელისა და ამხანაგობის ქარხანამ. მუშებმა მოითხოვეს ქარხნის კარის გაღება, მაგრამ რაკი-ღა უფროსმა გამგემ გ. გ. კარლსენმა არ შეუშვა და კარი ჩაუკეტა, მაშინ ხალხმა შეანგრია კარი და თვითვე გამოვიდა მსაჯულად კარლსენზე. ასეთივე ტრაგიკული ბედი ეწვია შპალერის ფაბრიკის გამგეს.

29 მაისს, მოძრაობის ტალღამ მოსკოვის მიდამოებში გადაახეთქა. სოკოლნიკში გადიწვა მთელი რიგი იმ აგარაკებისა, რომელიც გერმანელებს ეკუთვნოდნენ. ასევე გადიწვა პოლიაკოვის რამდენიმე აგარაკი, განადგურდა სოფ. ბოგოროდიცკის აგარაკები, სადგურ ლოსინოოსტროვსკზე, სოფ. ხლებნიკოვოში, კუნცევში, ნემჩანოვის ხიდზე და სხვა. ლოსინოოსტროვოში გადიწვა ვოგაუს უძვირფასესი მამული.

მოძრაობა უმთავრესად მოსკოვისა და ბოგოროდიცკის მაზრებს მოედო, სადაც ბრალმდებლითურთ მიემგზავრებოდა მთავარმართებელი გუბერნატორი გრაფი მურავიოვი. მან სწრაფი ბრძანება გამოსცა და ხალხს მოუწოდა, დამშვიდდითო, მაგრამ ბრძანება მხოლოდ და მხოლოდ ბრძანებად რჩებოდა.

ასევე დაიღუპა მოსკოვის სამხატვრო ფირმა გროსმანისა და კნებელისა, რომელიც იგორგრაბარის „რუსულ ხელოვნების ისტორიასა“ სცემდა. ამ ფირმამ მხოლოდ 22 გამოცემა მოასწრო, ნახევარზე ნაკლები, ვიდრე განზრახული იყო. ამ ახლო მომავალში უნდა გამოეცათ ახალ-ახალი ნომრები. ეს უკვე დასაბეჭდად გაემზადებინათ. ი. გრაბოსის მიერ შეკრებილი მასალები ინახებოდა პეტროვსკის ფირმის მაღაზიაში. აქ ჰქონდათ რუსულ ხელოვნების ფოტოგრაფიული სურათები, ძეგლები, საეკლესიო ნივთებისა და მხატვრობის რეპროდუქცია ცხოვრებიდან აღებული სურათები და მრავალი სხვა... და ყველა ეს უძვირფასესი მასალები, ფასდაუდებელი ღირებულება არა მარტო მატერიალურად, არამედ მისივე მნიშვნელობით, მრავალ წლის შრომას შეადგენდა. ძვირფასივე და აგრეთვე ფასდაუდებელი სამხატვრო მონოგრაფიებით, ი. გრაგორის ხელნაწერებითურთ დაიღუპა ამ ცეცხლის ლით... („ბ. ვ.“)

ჩვენი ცხოვრება

სამკურნალო აბანოები.

ს. ღაროს მთის მახლობლად, ს. ხვწეში არის ერთგვარი სასუნებელი წყარო, რომელიც ათასნაირ ავადმყოფობას ჰკურნავს: ამ ადგილს აბანოდ იცნობს ხალხი. აუარებელი ავადმყოფები მოდიან სტუმრად. ბევრნი, მართლა იკურნებიან. ყოფილა მაგალითი, რომ დიდად დავრდომილ-დაკუტებულს ერთგვარი შვება და გასაღება უგრძნია აქ. ზაფხულობით ამ „აბანოს“ ხალხი ბუზსავით ეხვევა. სამწუხაროდ ამ „აბანოში“ რაღაც მოზრდილი კასრი ჩაუდვიათ, ცისქვეშ, უთავსახუროდ. არავითარი შენობა, არავითარი სხვა აუზი. ავადმყოფნი რიგრიგობით ჩადიან შიგ და ისე იბანენ ტანს.

ეს აბანო რაროდან სამი-ოთხი ვერსის მანძილზეა და პირდაპირ შეჰყურებს აქ გაბნეულ ძველის-ძველ ძეგლებს, რასაც თამარ დედოფლის ძეგლს უწოდებენ, ანუ ბათლონის ქვას.

ასეთივე სამკურნალო წყარო იყო აბანოს მეორე მხარეს, ორი ვერსით დაშორებული. ეს პირველიდან თვისი მჟავე გემოთი განსხვავდებოდა. სამწუხაროდ წყარო იგი ეხლა აღარ არის, უპატრონობისა გამო მდინარე ლიახვმა ჩამოანგრია და წაჰლეკა. ეს წყარო კი შესანიშნავი იყო არა მარტო თავისი თვისებით, არამედ იმითი უფრო, რომ მაზე მიჯაჭულია ჩვენი მხრის ლეგენდები, გარდმოცემანი. ეს გარდმოცემანი მეცნიერებას არ დაგიდევენ, ყოველისფერს თავისებურად ჰხსნიან. აქედან ვიგებთ, რომ თამარს ბსუტსამძულას მწვერვალზე (ანუ იალბუზზე) სასახლე ჰქონდაო. ცისკრის ვარსკვლავი მუდამ მის სახლს დაჰქათქათებდაო. ერთხელ დიდმა თამარმა შეჰნიშნა, რომ ვარსკვლავი იგი გაჰქრა, ამ ამბავმა ფრიად შეაწუხა დედოფალი, მან **იჯავრა** და ცრემლები გადმოჰყარაო. და აი, ის ადგილი, სადაც მისი ცრემლი დაეცა, ამოახეთქს ამ მჟავე წყაროს, მხოლოდ მთელს მხარეს ამ აბანოს სახსოვრად არქმევენ **ჯავას**, ანუ თამარის **ჯავრს**. რაც შეეხება აბანოს, ესეც ლეგენდამ არ დასტოვა უყურადღებოდ: გაჯავრებულ გულზე თამარმა სევდა თვისი წყაროთი მოიბანა, დასწყევლა შადრევნის შხეფს თუ არა, წყარო მკურნავად გადაიქცაო. ამიტომ ამ აბანოს ხალხი თამარის **პირსაბან წყალს ეძახის.** თვით სოფლის სახელი ხვწე, ანუ ხვეცე წარმოსდგა ხცდგან, რაიც პირისბანას ნიშნავს.

ასეთივე სამკურნალო აბანო არის ს. ყელგუთაში, მდ. ფაწას მახლობლად. ეს ადგილიც ისტორიულია. რამდენიმე ძეგლი ხალხის რწმუნებით დავით სოსლანს ბეთლემიდან მოუტანიაო. მაგრამ თუ ხვწეს აბანოს თამარ დედოფალს აკუთვნებს ხალხი, სამაგიეროდ ყელგუთისა დავით სოსლანის სახელს დაუქვემდებარა. თამარი და დავით სოსლანი,—აი ის განუყრელი სახელები, რომელიც წარმტაც ლეგენდის შარავანდედით შეჰმოსა ოსობამ და მათ სახელს აწერს ყოველს ნანგრევს, ყოველს ქვას, ადგილს, იცნობს ისევე, როგორც წმიდათა სახელს. ვინ იცის, როდის რა გველირსება, რომ დადუმებულ სამარეთა მეტყველება ადრევე ჩაიწეროს, ხოლო ამ შესანიშნავ წყაროებს მიეცეს გზა მართლა სამკურნალოდ გამოიყენოს ხალხმა, ვიდრე ლიახვი ანუ რომელიმე მეწყერი და მთის ნიაღვარი ამათაც სავსებით არ წაჰლეკავს.

ვას. თედეშვილი.

ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

10 ივნისს გაიხსნა კრება საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე. წინანდელი კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ დაიწყეს მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა. შემოსავალი გიმნაზიის ნავარაუდევია 60.941 მან. 79 კაპ; მთელი ხარჯის დასაფარავად საჭირო ყოფილა კიდევ 254.513 მან. 56 კაპ. შემოსავალში პირველი ადგილი უჭირავს მოსწავლეთაგან შემოსატან სწავლის ფასს 45.000 მან. (წარსულ წელში ფასი შემოსულა მხოლოდ 28.631 მან. 67 კაპ.), გორის მაზრის მემამულეთა სინდიკატისაგნ მოელიან 3620 მან., ლაზარეთების გათბობაში 2403 მან., გიმნაზიის მოსამსახურეთა მიერ წაღებულ ავანსის დაბრუნებას 1187 მან. და სხ. დაიწყეს კამათი. **ბ-ნ კ. მაღალაშვილმა** განაცხადა, რომ აღნიშნული თანხა სწავლის ქირისა გაზვიადებულია; წელს შარშანდელზე ნაკლებ შემოსავალს უნდა მოველოდეთ; შარშან სწავლის ფულის შემოუტანლობისათვის 150 მოსწავლე დაითხოვეს გიმნაზიიდან, წელს უფრო გაუჭირდებათ ფულის შემოტანა, რადგან წარსულ წელში მხოლოდ მაღალი სკოლების მოსწავლენი იხდიდნენ სწავლის ფულს 75 მან., დაბალი კლასისანი 50 მანეთს და წელსკი ყველა მოსწავლეზე 75 მანეთია დაწესებულიო.

ბ-ნმა ალ. მიქაბერიძემ, განმარტა, რომ 150 კი არა, მხოლოდ 40 მოსწავლე გავიდა ფულის შემოუტანლობისა გამო და ამათგანაც ბევრნი სხვა სასწავლებლებში განაგრძობენ სწავლასო. **ბ-ნი პარკაძე** თხოულობს შემოსავალში ეხლავე იქნას შეტანილი ა. ავალიშვილისაგან მისაღები 6.574 მან. და ბ-ნ ვაჩნაძისაგან მისაღები 254 მან., ამასთანავე გორის მემამულეთა სინდიკატის მიერ შემოსატანი ფული გადიდდეს და გიმნაზიის შენობაში მოთავსებულ ორ მუზეუმის ქირად დაწესდეს. ამ წესით, შემოსავლის ჯამი ხარჯთაღრიცხვაში მოიმატებს. კომიტეტის წევრის ბ-ნ **პ. გვერდწითელის** განმარტებით გორის სინდიკატისაგან ხარჯთაღრიცხვაში შეტანილ თანხის მეტი წელს არ შემოვა, რაც შეეხება ბ-ნ ავალიშვილის მიერ დაფლანგულ 6.574 მანეთს, რომლის ასანაზღაურებლად მისმა მამამ ტყე გადმოსცა აღმასრულებელ კომისიას, ეს ფულები მაშინ ჩაიწერება შემოსავალში, როცა ნამდვილად შემოვა. **ბ-ნი ი. რატიშვილის** შეკითხვაზე—მუზეუმები უშლის რასმეს სასწავლებელს, თუ არაო?—ბ-ნმა **ა. ჭიჭინაძემ** განმარტა, რომ ჯერ-ჯერობით მუზეუმები არას გვიშლის, ხოლო მომავალში იქნებ შეგვიშალოს, რადგან საჭიროა დაბალ კლასებისათვის პანსიონის განახლება, მაგრამ ეს როდის იქნება, ჯერ-ჯერობით ამის თქმა ძნელიაო. შემდეგ აზრის გაცვლა-გამოცვლის დროს სწავლის ფულის რაოდენობის შესახებ ბბ-მა **ა. ჭიჭინაძემ და ა. მიქაბერიძემ** განუმარტეს კრებას, რომ მოსწავლეებზე ყოფილა ამ ჟამად ვალად სწავლის ფული 2000 მანეთამდე, ეს ფული მომეტებულ ნაწილად ჰმართებსთ მაღალი კლასის მოსწავლეებს და დიდი ნაწილი ამ ვალისა შემოტანილი იქნება აგვისტოს დამლევისათვის ეგზამენების წინ.

ხარჯთ-აღრიცხვის შემოსავლის ანგარიში წინასწარ მიიღო კრებამ.

შემდეგ კრება შეუდგა ხარჯების ანგარიშის განხილვას. მთელი ჯამი სავალდებულო ხარჯებისა ანგარიშით უდრის 315.485 მან. 34 კაპ.

ბ-ნი ი. რატიშვილი საჭიროდ სთვლის ანგარიშები დგებოდეს აკადემიური წლის მიხედვით, ე. ი. სექტემბრიდან სექტემბრამდე. **პ. გვერდწითელი** სრულიად ეთანხმება ორატორს, მაგრამ მისი წინადადების ასრულება შეუძლებლად მიაჩნია, რადგან თავად-აზნაურობის ანგარიშები, რომელნიც წარმოადგენენ გიმნაზიის უმთავრეს სახსარს, სამოქალაქო წლის მიხედვით დგება ე. ი. იანვრიდან იანვრამდე. შტატის მასწავლებლებისათვის ჯამაგირების განხილვის დროს პროფესორმა **ი. ჯავახიშვილმა** განმარტა, რომ გერმანიაში ახლად მიღებულ მასწავლებლებს 5 წლის განმავლობაში ადევნებენ თვალ-ყურს და თუ ღირსეული აღმოჩნდა, მხოლოდ შემდეგ ამტკიცებენ მასწავლებლად. აქ კი პირველ მოწვევის თანავე უპირებთ მასწავლებელს შტატში ჩარიცხვასო. 5 წელიწადი თუ გრძელი ვადაა, ერთი წლის გასვლამდე მაინც ნუ ჩაირიცხება შტატში ახალი მასწავლებელი, რადგან ვინ იცის, გამოგვადგება თუ არაო. **ა. ჭიჭინაძე** ეთანხმება ორატორს იმ განსხვავებით, რომ გამოცდილი მასწავლებელი მოწვევისთანავე იქნას შტატში ჩარიცხული, ხოლო ახალს, გამოუცდელ მასწავლებელს, ჯამაგირი ეძლიოს შტატისა, ხოლო შტატში ჩაირიცხოს ერთი წლის შემდეგ, თუ ის კარგი მასწავლებლობის უნარს გამოიჩენს. კრებამ შეიწყნარა უკანასკნელი წინადადება. აგრეთვე შეწყნარებულ იქნა **ი. რატიშვილის** წინადადება იმის შესახებ, რომ ადგილის განთავისუფლების დროს შტატში ჩარიცხონ შტატს გარეშე მასწავლებლები ჩვენი გიმნაზიისა. **დ. დუმბაძე** შეეხო რა ხარჯთ-აღრიცხვის იმ მუხლს, რომლითაც კლასის ავეჯის რემონტისათვის ასი მან. გადადებული, ძალიან გაიკვირვა, რომ ასეთ დიდ მნიშვნელოვან საქმისათვის სრულებით არ უზრუნვია კომიტეტს. სხვათა შორის გიმნაზიის ექიმის მოხსენებიდან რამდენიმე ადგილი წაიკითხა კლასის პარტების უვარგისობაზე და კრებას ურჩია კლასის მოწყობილობას დიდი ყურადღება მიაქციოს. **სპ. ბაქრაძემ** განაცხადა, რომ 1909 წ. საზოგადო კრებამ დაადგინა 9 ათასი მანეთი დახარჯულიყო კლასის ავეჯის შესაძენად; ფულები კი დაიხარჯა, მაგრამ ავეჯი არ შეუძენიათ. კომიტეტის წევრი **პ. გვერდწითელი** კარგად გრძნობს გიმნაზიის ნაკლულევანებას აღძრულ საკითხის მხრივ, მაგრამ, როგორც მან ნათლად დაამტკიცა, გიმნაზიას ამ ჟამად ღონისძიება არ აქვს შესამჩნევი ნაბიჯი გადადგას წინ. დიდს განსაცდელში ვიყავით, რადგანაც გიმნაზიის შენობა ხელიდან გვეცლებოდაო. მაგრამ ამ ჟამად შიში გაჰქრა, თავად-აზნაურობამ 151 ათასი მანეთი გადასდო, რომლის დიდი ნაწილი ვალის %-ის გასტუმრებას უნდება, ხოლო კლასის ინვენტარისათვის ამ ფულიდან დაიხარჯება ამ დროებით 5 ათასი მანეთიო. დიდი საქმე გააკეთა თავად-აზნაურობამ; განსაკუთრებით უნდა ვუმადლოდეთ ეხლანდელს ჩვენს თავმჯდომარეს (უჩვენა თავ. მ. ა. სუმბათაშვილზე), რომელმაც ეს საქმე დაიწყო და დაამთავრაო (გაისმა ტაშის გრიალი). თავმჯდომარემ თავ. **მ. ა. სუმბათაშვილმა** განმარტა, რომ თავად-აზნაურობას ამ ჟამად მეტის გაღება არ შეუძლიან, რადგან შენობის გამოხსნა დიდ ხარჯებს თხოულობსო. 5 ათასი მანეთით ვერას გავხდებით მთელი საჭირო ინვენტარის შესაძენად, მაგრამ ეს ფული ამ ჟამად პარტების შეძენას უნდა მოხმარდეს, ხოლო შემდეგ, შეძლების კვალობაზე, თანდათან უნდა შევიძინოთ დანარჩენი ინვენტარიო.—კრება დაკმაყოფილდა განმარტებით.

გ. გულისაშვილის წინადადებით კრებამ გადასწყვიტა გიმნაზიის სავაჟო და საქალებო განყოფილებათა წლიური ანგარიშები შემდეგში ცალ-ცალკე იქნას შედგენილი.

ი. ავალიშვილმა აღნიშნა, რომ სავაჟო განყოფილებაში მეტ ჯამაგირს ღებულობენ მასწავლებლები, ქალებისაში კი ნაკლებს და ურჩია კრებას ყურადღება მიაქციოს ამას და შეძლების კვალობაზე გაათანასწოროს ჯამაგირები. **სპ. ბაქრაძემ** დასძინა, წინანდელ კრების დადგენილების თანახმად, ქალების გიმნაზიის უფროსს უთუოდ უნდა მივუმატოთ წლიურად 300 მან., ამასთანავე, მოითხოვა-რა ვაჟებისა და ქალების უმაღლეს სწავლა-დამთავრებულ მასწავლებელთათვის ჯამაგირის გათანასწორებას, კრებას აღუთქვა, მე გამოვნახავ ამისათვის წყაროსო.

კრებამ სავალდებულოდ სცნო უფროსისათვის 300 მან. მიმატება, ხოლო მასწავლებლების გათანასწორება ჯამაგირის მხრივ საჭიროდ სცნა იმ პირობით, თუ ბ-ნი ბაქრაძე მართლა აღმოაჩენს წყაროს.

კრება გადაიდო შემდეგი დღის საღამოს 8 საათისათვის.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

მაზანდა თბილისის ბაზარზედ

გაიყიდა:	7 თიბათვეს
ტყემალი	2 მ.
ალუბალი	3 მ.
ატამი	4 მ.
თხილი	3 მ.
ხენდრო	10 მ.
	8 თიბათვეს
ალუბალი	3 მ.
ტყემალი	1 მ. 60 კ.
თხილი	3 მ.
ატამი	4 მ.

იყიდება
ორი სახლი
ქართულ გიმნაზიის პირდაპირ
პირობის გასაგებად შეიძლება მოლაპარაკება: მიხაილოვის პროსპ., 97, ბინა 25 დილის 8—10 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე. 3—2

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს.	13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	8 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	8 „	58 „	„
ვაზიანიდან	10 „	06 „	„
ივრიდან	21 „	15 „	„
საგარეჯოდან	11 „	58 „	„
ბადიაურიდან	12 „	56 „	„
მელაანიდან	2 ს.	16 წ.	საღ.
გურჯაანიდან	3 „	37 „	„
კარდენახიდან	4 „	12 „	„
წნორის-წყალზე	4 „	44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს.	42 წ.	საღ.
ვაჩნაძიანიდან	4 „	33 „	„
თელავში	5 „	27 „	„

თბილისისკენ მოდის:

წნორის-წყლიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
კარდანახიდან	9 „	41 „	„
გურჯაანიდან	10 ,	24 „	„
მელაანიდან	11 „	39 „	„
ბადიაურიდან	12 „	59 „	დღ.
საგარეჯოდან	2 „	80 „	„
ივრიდან	2 „	50 „	„
ვაზიანიდან	3 „	55 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	4 „	58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	5 „	13 „	„
თბილისში	5 „	28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8 ს.	54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	9 „	25 „	„
გურჯაანში	10 „	07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან	12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან	5 ს.	55 წ.	საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს.	41 წ.	საღ.
№ 10 ბათომიდან.	9 ს.	51 წ.	დილ.
ჯულფიდან.	6 ს.	53 წ.	დილ.
ბორჯომიდან.	7 ს.	25 წ.	დილ

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს.	3 წ.	საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ	8 ს.	53 წ.	საღ.
ჯულფისკენ	10 ს.	23 წ.	საღ.
ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ.	დღ.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა.
25—14

მეხილეთა ამხანაგობა
„ქართლი“
„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეჯვრიშვილები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

მსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან